



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 4 ოქტომბერი, 2017 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: ევროპის ფონდის ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. ვლადიმერ ბოჭაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
8. რაისა ლიპარტელიანი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
9. ვიტალი გიორგაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

შეხვედრას ასევე ესწრებოდა, ნინო ხურციძე - სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესის ფასილიტატორი, ევროპის ფონდი

განსახილველი საკითხები:

- საქართველოს ეროვნული პლატფორმის სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება;
- და სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველი საკითხი.

საბჭომ იმსჯელა სტრატეგიულ დოკუმენტზე. შევიდა მცირე რედაქციული შენიშვნები და საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო საბოლოო დოკუმენტი¹. ასევე, სამდივნოს ეთხოვა სტრატეგიული დოკუმენტი გაუზიაროს პლატფორმის წევრებს. რამდენადაც, მნიშვნელოვანია, ის მიზნები და ამოცანები, რაც განისაზღვრა დოკუმენტის მიხედვით აისახოს პლატფორმის წესდებაში, თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელს, ქალბატონ რაისა ლიპარტელიანს ეთხოვა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები წესდებაში, ხოლო საერთო კრებაზე პლატფორმამ კენჭი უყაროს ცვლილებებს.

შემდეგ საკითხად, პლატფორმის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიზაციის პროექტის მენეჯერის წერილის შინაარსის შესახებ, სადაც მას, როგორც პლატფორმის თავმჯდომარეს სთხოვდნენ პლატფორმის ფინანსური მდგარდობის შეფასებას. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა წინადადება, რომ წერილი გააგზავნოს საბჭოს სახელით და შეჯერდნენ ერთიან პოზიციაზე. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკოორდინაციო საბჭოს წევრები შეხვდნენ პროექტის მენეჯერს და ერთობლივად განიხილონ აღნიშნული საკითხი. ასევე მკაფიოდ დააფიქსირონ ევროკავშირის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის აუცილებლობა.

შეხვედრის ბოლოს, პირველი ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა ბიწამე-მიქელაძემ წარადგინა გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის თხოვნა, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული პლატფორმის ერთობლივ კონფერენციაზე ერთ-ერთ განსახილველ საკითხად დაემატოს გენდერული საკითხები. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას შემდეგ რაც საბოლოოდ დადასტურდება კონფერენციასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები გადაწყდეს თუ რა ფორმატით შეიძლება დაემატოს გენდერული საკითხები.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა

¹ იხილეთ თანდართული სტრატეგიული დოკუმენტი